



# გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა 2025-2030

## სამოქმედო გეგმის შინაარსი

### ტერმინთა განმარტება

#### 1. არსებული მდგომარეობა

- 1.1. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები
- 1.2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები
  - 1.2.1. მდებარეობა და დემოგრაფიული მონაცემები
  - 1.2.2. კლიმატური პირობები
  - 1.2.3. გარდაბნის ტერიტორიული მოწყობა
  - 1.2.4. წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები.
  - 1.2.5. შრომითი რესურსი
  - 1.2.6. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა
  - 1.2.7. ტურიზმი და მომსახურების სფერო
  - 1.2.8. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა
  - 1.2.9. გარემო

#### 2. ნარჩენების მართვის სისტემა: განვითარება და გამოწვევები

- 2.1. ნარჩენების მართვის სტრატეგიული დაგეგმვის განვითარება
- 2.2. ნარჩენების მართვის დაგეგმვის სფეროში არსებული გამოწვევები
- 2.3. ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და მართვა
  - 2.3.1. მუნიციპალური ნარჩენები
  - 2.3.2. სახიფათო ნარჩენები
  - 2.3.3. სამედიცინო ნარჩენები
  - 2.3.4. ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები
  - 2.3.5. ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სფეროში არსებული გამოწვევები

## 2.4. ნაგავსაყრელები

2.4.1. არსებული ნაგავსაყრელების მდგომარეობა

2.4.2. სტიქიური ნაგავსაყრელები

2.4.3. ნაგავსაყრელების მართვის სფეროში არსებული გამოწვევები

2.5. პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება და აღდგენა, არსებული მდგომარეობა და გამოწვევები

2.6. ხარჯების ამოღება და არსებული ფინანსური გამოწვევები

2.7. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (მგვ)

2.8. მონაცემები ნარჩენების შესახებ

2.9. მართვის შესაძლებლობები

2.10. სახიფათო ნარჩენების მართვა

2.11. პლასტიკის ნარჩენების მართვა

2.12. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვა

2.13. ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მართვა

## 3. ნარჩენების მართვის სტრატეგიული მიმართულებები

3.1. ნარჩენების იერარქია და მართვის პრინციპები

3.2. ხედვა, მიზნები და ამოცანები

## 4. სტრატეგიის შედეგები

4.1. გარდაბნის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემის SWOT ანალიზი

4.2. მყარი ნარჩენების მართვასა და დასუფთავებაში ჩართული პერსონალი

4.3. დასუფთავების სამსახურის - ააიპ "სუფთა ქალაქის" მიერ შესრულებული ფუნქციები

4.4. კადრების მართვა

4.5. აღჭურვილობის/აქტივების მართვა

4.6. შეგროვების სისტემით გარდაბნის მუნიციპალიტეტის დაფარვის პროცენტული მაჩვენებელი

4.7. ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო მანქანები, ურნები, კონტეინერები და სხვა აღჭურვილობა

4.7.1. საჭირო კონტეინერების საერთო რაოდენობა

4.7.2. მყარი მუნიციპალური ნარჩენებისთვის გამოყენებული კონტეინერები

4.7.3. ნარჩენების სხვა სახის ნაკადებისთვის გამოყენებული კონტეინერების სახეობა (მაგ., რეციკლირებადი ნარჩენები, შენობების დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები, და სხვ.)

4.7.4. ნარჩენების შემგროვებელი სატრანსპორტო საშუალებები ნაგავშიდები

4.7. ნარჩენების შეგროვებისა და გატანის პრაქტიკა - კერძო კონტრაქტორების მონაწილეობა

4.8. საზოგადოებრივი ადგილების / ქუჩების დასუფთავება\*

4.9. შეგროვების რეისების სიხშირე/რაოდენობა

4.10. პასუხისმგებლობა ნარჩენების შეგროვებაზე

4.11. ნარჩენების შეგროვების პრაქტიკა

4.12. ნარჩენების გატანა

4.13. სხვა ქონება

4.14. უკანონო ნაგავსაყრელები

4.15. ფინანსური მდგომარეობა

4.16. მყარი ნარჩენების მართვა

4.16.1. მყარი ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი ა(ა)იპ სუფთა ქალაქის ბიუჯეტი და ხარჯები

4.16.2. მყარი ნარჩენების მართვის სამსახურის ბიუჯეტი (ფულის ადგილობრივ ერთეულში)

4.17. კანონალსრულება

4.17.1. საჩივრები ნარჩენების მართვის სერვისთან დაკავშირებით და ჯარიმები

4.18. მყარი ნარჩენების მართვაში არსებული პრობლემები

4.19. ცნობიერების ამაღლება

4.20. ადგილობრივი სამართლებრივი აქტები

## ტერმინთა განმარტება

**ნარჩენები** - ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს.

**საყოფაცხოვრებო ნარჩენები** - საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები.

**მუნიციპალური ნარჩენები** - საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავისი მახასიათებლებისა და შემადგენლობის მიხედვით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია.

**ბიოდეგრადირებადი ნარჩენები** - ნებისმიერი სახის ნარჩენები, რომლებიც ექვემდებარებიან ანაერობულ ან საკვების აერობულ დაშლას, მათ შორის, სურსათის/ცხოველის ნარჩენები, ბაღების/პარკების ნარჩენები, ქაღალდი და მუყაო.

**ინერტული ნარჩენები** - ნარჩენები, რომლებიც არ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს, არ იხსნება, არ იწვის და არ შედის სხვაგვარ ქიმიურ ან ფიზიკურ რეაქციაში, არ განიცდის ბიოდეგრადაციას და სხვა მასალაზე არ ახდენს ისეთ გავლენას, რომელიც გამოიწვევს გარემოს დაბინძურებას ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას

**სახიფათო ნარჩენები** - ნარჩენები, რომლებიც სახიფათო ან პოტენციურად მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან გარემოსათვის (სახიფათო ნარჩენების სია მოცემულია საქართველოს კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” მესამე დანართში).

**სამედიცინო ნარჩენები** - ნებისმიერი ნარჩენი, რომელიც სამედიცინო დაწესებულებების, სამედიცინო ლაბორატორიების, სამედიცინო კვლევითი ცენტრების, მზრუნველობის დაწესებულებების, ვეტერინარული კლინიკების, ფარმაცევტული საწარმოებისა და საწყობების მიერ არის წარმოქმნილი.

**ცხოველური ნარჩენები** - ცხოველებთან დაკავშირებული ნარჩენები (ცხოველების სხეულები, ცხოველების სხეულის ნაწილები, ნაკელი, ხორცის წარმოების ნარჩენები, ცხოველებზე ცდების ჩატარების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები და სხვ.).

**პრევენცია** - ნივთიერების, მასალის ან პროდუქტის ნარჩენად გადაქცევამდე მიღებული ზომები, რაც ამცირებს: ა) ნარჩენების რაოდენობას, ( მაგალითად, პროდუქტის ხელახალი გამოყენების გზით ან პროდუქტის ვარგისიანობის ვადის გაგრძელების გზით); ბ) წარმოქმნილი ნარჩენების უარყოფით გავლენას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე; გ) მასალებსა და პროდუქტში მავნე ნივთიერებების შემცველობას.

**ხელახალი გამოყენება** - პროდუქტის ან/და მისი კომპონენტების ხელახლა გამოყენება ნარჩენად გადაქცევამდე, მათი თავდაპირველი დანიშნულებით.

**აღდგენა** - საქმიანობა, რომლის ძირითადი შედეგია ნარჩენების გამოყენება სასარგებლო მიზნებისათვის, იმ მასალების ჩანაცვლების გზით, რომლებიც სხვა პირობებში რაიმე ფუნქციის შესასრულებლად იქნებოდა გამოყენებული. აღდგენა მოიცავს ენერჯის აღდგენას და

რეციკლირებას. (აღდგენის ოპერაციების სია მოცემულია საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ პირველ დანართში).

**რეციკლირება** - აღდგენითი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ნარჩენები გარდაიქმნება პროდუქტად, მასალად ან ნივთიერებად, რომლებიც განკუთვნილია თავდაპირველი ან სხვა მიზნით გამოყენებისთვის. რეციკლირება მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერჯის აღდგენას და ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც გამოიყენება საწვავად ან ამოვსების ოპერაციებისთვის.

**რეციკლირებადი მასალები** - გავრცელებული რეციკლირებადი მასალებია მინა, ქაღალდი, მუყაო, მეტალი, პლასტიკი, ქსოვილი, საკვების ნარჩენები, ბალის ნარჩენები და ელექტრონული მოწყობილობები.

**ნარჩენების შეგროვება** - ნარჩენების შეგროვება, რაც ასევე მოიცავს მათ წინასწარ დახარისხებას და წინასწარ დასაწყობებას ნარჩენების დამუშავების ობიექტზე გადატანის მიზნით.

**სეპარირებული შეგროვება** - ნარჩენების შეგროვება, რომლის დროსაც ნარჩენების ნაკადები განცალკევებულია სახეობების და თვისებების მიხედვით, მათი შემდგომი დამუშავების ხელშეწყობის მიზნით.

**ნარჩენების ტრანსპორტირება** - ნარჩენების გადატანა ნარჩენების შენახვის ან/და დამუშავების ობიექტზე; ნარჩენების გადამტვირთი სადგური - ობიექტი, სადაც ხორციელდება ნარჩენების გადატვირთვა ნარჩენების დამუშავების ობიექტზე შემდგომი ტრანსპორტირების მიზნით. სანიტარიული ნაგავსაყრელი - მუნიციპალური ნარჩენების კონტროლირებადი განთავსება მიწაში, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერ პოტენციურ ნეგატიურ ემისიებს ზედაპირულ წყლებში, მიწისქვეშა წყლებში, ნიადაგში ან ჰაერში.

**დანაგვიანება** - ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება და/ან მიტოვება, გარდა ამ მიზნისთვის გამოყოფილი კონტეინერებისა და შეგროვების ობიექტებისა.

**დაინტერესებული მხარე** - პირი, ჯგუფი, დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელსაც პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი გააჩნია ქმედებასთან ან პროექტთან ან რომელსაც გააჩნია შესაძლებლობა დადებითი ან ნეგატიური გავლენა მოახდინოს ქმედებაზე ან პროექტზე.

**გადახდის მზაობა** - მაქსიმალური საფასური, რომელიც პირმა შეიძლება გაიღოს კარგი შედეგის შესაძენად ან არასასურველი შედეგის თავიდან ასარიდებლად.

## 1. არსებული მდგომარეობა

### 1.1. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები

საქართველოში არაერთი ღონისძიება განხორციელდა ნარჩენების მართვის სფეროში. ამის მიუხედავად, წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა მოხდეს სისტემური მიდგომის დანერგვა და ეფექტიანი ქმედებების განხორციელება.

საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ მიღებულ იქნა 2014 წლის 26 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2015 წლის იანვარში. აღნიშნული კანონის მიღებამდე, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები ნაწილობრივ რეგულირდებოდა რიგი დარგობრივი საკანონმდებლო აქტებით და გარკვეულწილად – საერთაშორისო კონვენციებით. კოდექსი ეფუძნება საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივებისა და რეგულაციების მოთხოვნებს, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. ნარჩენების მართვის კოდექსი არეგულირებს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას და მათ ხელახალ გამოყენებას, ნარჩენების აღდგენის, რეციკლირების და უსაფრთხო განთავსების საკითხებს. მათ შორის ისეთ საკვანძო საკითხებს როგორც არის: მოთხოვნები ნარჩენების კლასიფიკაციის, აღრიცხვის და ანგარიშგების, შეგროვების, ტრანსპორტირების და წინასწარი დამუშავების შესახებ; მუნიციპალური, სამედიცინო და სახიფათო ნარჩენების შესახებ; ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვის და შემდგომი მოვლის შესახებ; ინსინერაციის და თანაინსინერაციის შესახებ და სხვა. ნარჩენების მართვის კოდექსიდან გამომდინარე მიღებულია კანონქვემდებარე აქტები, მათ შორის მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ნარჩენების მართვის სფეროში გააჩნია სხვა საერთაშორისო ვალდებულებებიც. კერძოდ, საქართველო არის „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ ბაზელის და „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ“ სტოკჰოლმის კონვენციების მხარე.

საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვები რეგულირდება „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ“ კანონით. მიმდინარეობს მუშაობა კანონის პროექტის ახალ რედაქციაზე. ასევე, შემუშავების პროცესშია სამთო-მოპოვებითი და გადამამუშავების მრეწველობის ნარჩენების მართვის კანონმდებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროკავშირის ნარჩენების მართვის კანონმდებლობასთან შემდგომი ჰარმონიზაცია, მისი ეფექტიანი განხორციელება და აღსრულება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ქვეყანაში ნარჩენების მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

**მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლებია:**

- საქართველოს კონსტიტუცია

### **კანონები**

- საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“

- საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

- საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“

- საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“

- საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“

## **კონვენციები**

1. ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებსა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“
2. სტოკჰოლმის კონვენცია „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ“
3. როტერდამის კონვენცია „ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“
4. ვერცხლისწყლის შესახებ მინამატას კონვენცია

## **დირექტივები**

1. 2008 წლის 19 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/98/EC დირექტივა ნარჩენების შესახებ
2. 1999 წლის 26 აპრილის საბჭოს 1999/31/EC დირექტივა ნაგავსაყრელების შესახებ (EC) N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად
3. 2006 წლის 15 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/21/EC დირექტივა მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ

## **საქართველოს მთავრობის დადგენილებები:**

1. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №324 დადგენილებით „ბატარებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ბატარებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ
2. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილებით „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ
3. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №327 დადგენილებით „ნარჩენი ზეთების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ნარჩენი ზეთების მართვის შესახებ
4. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №325 დადგენილებით „საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ
5. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №159 დადგენილებით „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესი; დანართი №1 - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მეთოდური სახელმძღვანელო და დანართი №2 - მუნიციპალური ნარჩენების დამუშავების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო

6. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №160 დადგენილება „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“

7. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის №294 დადგენილებით „ტექნიკური რეგლამენტის – „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – „სამედიცინო ნარჩენების მართვა“

8. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 მარტის №124 დადგენილებით „ტექნიკური რეგლამენტის – რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების შეფასებისადმი ძირითადი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების შეფასებისადმი ძირითადი მოთხოვნები

9. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 მარტის №123 დადგენილებით „ტექნიკური რეგლამენტის - რადიოაქტიური ნარჩენების საცავის უსაფრთხოების შეფასებისადმი ძირითადი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - რადიოაქტიური ნარჩენების საცავის უსაფრთხოების შეფასებისადმი ძირითადი მოთხოვნები

10. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს დადგენილება №426 - „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“

11. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს № 421 დადგენილებით „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ

12. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №143 დადგენილებით „ტექნიკური რეგლამენტის - „ნარჩენების ტრანსპორტირების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ნარჩენების ტრანსპორტირების წესი

13. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტი №144 დადგენილება - „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“

14. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის №259 დადგენილება - „საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისათვის, საქართველოს ტერიტორიიდან ექსპორტისათვის და საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტისათვის დაშვებული ნარჩენების ნუსხის დამტკიცების შესახებ“

15. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №35 დადგენილებით „ტექნიკური რეგლამენტის „სურსათში/ცხოველთა საკვებში და გარემოს ობიექტებში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნარჩენების კონტროლისათვის ნიმუშების აღების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - სურსათში/ცხოველთა საკვებში და გარემოს ობიექტებში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნარჩენების კონტროლისათვის ნიმუშების აღების წესები

16. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის

დამტვიცების თაობაზე“ დამტვიცებული ტექნიკური რეგლამენტი - სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნები

17. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №422 დადგენილება - ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ

## 1.2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები

### 1.2.1. მდებარეობა და დემოგრაფიული მონაცემები

გეოგრაფიული მდებარეობით გარდაბნის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, ადმინისტრაციულად ის ქვემო ქართლის მხარეს განეკუთვნება. მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობია 1304,1კვ.კმ. მისი მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 83200-ს (იხ.ცხ.1), აქედან ქალაქის მოსახლეობაა 17 800, სოფლის მოსახლეობა კი - 65 400.

| მუნიციპალიტეტის დასახელება  | გარდაბანი              |               |               |
|-----------------------------|------------------------|---------------|---------------|
| მუნიციპალიტეტის ფართობი სულ | 1304.1 კმ <sup>2</sup> |               |               |
| მოსახლეობა წლების მიხედვით  | <b>2019</b>            | <b>2021</b>   | <b>2024</b>   |
| ქალაქი                      | 16,2                   | 15,624        | 17,800        |
| სოფელი                      | 65,676                 | 64,676        | 65,400        |
| <b>სულ</b>                  | <b>81,876</b>          | <b>80,300</b> | <b>83,200</b> |

### 1.2.2. კლიმატური პირობები

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქს. ბარში ზომიერად თბილი ველის ჰავაა, ცხელი ზაფხულით, მთაში კი ზომიერად ნოტიო ჰავაა, ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით. საშუალო წლიური ტემპერატურაა 13° -იდან 5°-6°-მდე, იანვრის 0,3°-იდან 5°-მდე. ივლისის 25°-იდან 41°-მდე. გარდაბნის ვაკეზე მშრალი სუბტროპიკული ჰავაა, საშუალო წლიური ტემპერატურაა 12,9°, ნალექები 422 მმ წელიწადში. სამგორის ვაკეზე ჰავა ზომიერად ნოტიოა.

### 1.2.3. გარდაბნის ტერიტორიული მოწყობა

გარდაბნის მუნიციპალიტეტში შედის 1 ქალაქი, და 43 სოფელი, რომლებიც გაერთიანებულნი არიან 19 ტერიტორიულ ადმინისტრაციულ ერთეულად:

**ქალაქი გარდაბანი** - ქალაქი გარდაბანი, სოფლები: ლელაშხა, თბილწყარო, ქვემო კაპანახჩი.

**ვახტანგისი** - სოფელი ვახტანგისი.

**ქესალო** - სოფელი ქესალო.

**ჯანდარა** - სოფელი ჯანდარა.

**ლემშვანიერა** - სოფლები: ლემშვანიერა, მზიანეთი, ნაგები.

კალინინო - სოფლები: თაზაქენდი, კალინინო, ბირლიკი, ამბართაფა, ახალშენი, ბოტანიკა.

აღთაკლია - სოფელი აღთაკლია.

ყარათაკლია - სოფელი ყარათაკლია.

ყარაჯალარი - სოფელი ყარაჯალარი.

გამარჯვება - სოფლები: გამარჯვება, ფოლადაანთკარი, გამარჯვება 1.

ახალი სამგორი - სოფელი ახალი სამგორი.

მარტყოფი - სოფლები: მარტყოფი, სააკაძე, ვაზიანი.

ნორიო - სოფლები: ნორიო, ზემო ქვიშიანი, ქვემო ქვიშიანი.

ახალსოფელი - სოფლები: ახალსოფელი, საცხენისი, მუხროვანი.

სართიჭალა - სოფლები: სართიჭალა, მუდანლო.

ნაზარლო - სოფელი ნაზარლო

კუმისი - სოფლები: კუმისი, ახალი კუმისი

თელეთი - სოფლები: ზემო თელეთი, ქვემო თელეთი, წალასყური, ახალწყალი, მუხრანთელეთი.

კრწანისი - სოფლები: კრწანისი, მთის ძირი

#### 1.2.4. წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვხვდებით შემდეგ ბუნებრივ რესურსებს: ბუნებრივი აირი, ნავთობი, მინერალური მარილები, მინერალური წყლებიდან აღსანიშნავია ნორიოს წყალი; ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიპოვება ქვიშა-ხრეში, გრანიტი და თიხა-თაბაშირი. სამკურნალო ტალახი და გაფანტული ოქროს მარაგის საბადოები. აქედან, სამრეწველო მნიშვნელობა გააჩნია ნავთობისა და გაზის, სამკურნალო ტალახის, მინერალური მარილების, ინერტული მასალების, გრანიტის და სხვა საბადოებს.

#### 1.2.5. შრომითი რესურსი

შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა მთლიანი მოსახლეობის 65-70%; დასაქმებულ პირთა რაოდენობა - შრომისუნარიანი მოსახლეობის 50-55%; უმუშევარ პირთა რაოდენობა - შრომისუნარიანი მოსახლეობის 30-40%.

თვითდასაქმებულთა წონა მთლიან დასაქმებაში რეგიონში შეადგენს 67%-ს. გარდაბნის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2025 ან 2024 წლის მონაცემებით შეადგენს 6,104 პირს, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 252 ერთეულით.

|                    | 2022  | 2023  | 2024  |
|--------------------|-------|-------|-------|
| უმუშევრობის დონე % | 17.3% | 15.3% | 13.9% |

|                   |       |       |       |
|-------------------|-------|-------|-------|
| აქტიურობის დონე % | 60.3% | 63.1% | 72.8% |
| დასაქმების დონე % | 59.8% | 62.4% | 66.0% |

გარდაბნის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის დასაქმების პოტენციალი მაღალია ენერგეტიკაში, სოფლის მეურნეობის საწარმოებში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებში, სამრეწველო საწარმოებში, სამშენებლო და ვაჭრობის სფეროში. შრომითი ტენდენციები მზარდია, ანუ დასაქმებულთა რაოდენობა ყოველ წლიურად იზრდება 2-4%-ით.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების როლს წარმოადგენს ინფორმაციის საჯაროობა და სოციალური, ადამიანზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა.

### 1.2.6. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის დარგობრივი ეკონომიკა განვითარებულია ქვეყნის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მდებარეობა ძალიან მოსახერხებელია როგორც სოფლის მეურნეობის, ისე სხვა სექტორების განვითარებისთვის. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან ახლოს არის აზერბაიჯანის და სომხეთის საზღვარი. გარდაბნის დიდი ნაწილი ესაზღვრება რუსთავსა და თბილისს.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მეცხოველეობა (მსხვილფეხა და წვრილფეხა) და მემინდვრობა.

მეცხოველეობაში სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის 80%-ია ჩართული და დაკავებულია როგორც რძისა და რძის ნაწარმის, ასევე ხორცის წარმოებით. ბუნებრივი პირობებისა და საძოვრების მცირე ფართობების გამო მწარმოებლები საზაფხულო საძოვრებად წალკისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ფართობებს იყენებენ.

მემინდვრობაში უპირატესად განვითარებულია მარცვლეული, აგრეთვე, ბალჩეული და ბოსტნეული კულტურების წარმოება.

30 მსხვილი ფერმერი ორიენტირებულია მარცვლეულის წარმოებაზე (სიმინდი, ხორბალი, ქერი).

არის ერთი დიდი სასათბურე მეურნეობა - „პლანტა“ და ათეულობით მცირე ფართობიანი სათბურები, ე.წ. „გვირაბი“.

მეზოსტნეობაში, ძირითადად აწარმოებენ პომიდორს, კიტრს, ბადრიჯანს და წიწაკას.

ამ პროდუქციის რეალიზაცია ხდება სტიქიურად, ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე. განსაკუთრებით დიდი ფართობი უკავია მწვანეებს, რაც მუნიციპალიტეტისათვის ტრადიციული წარმოებაა და აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ქალაქებს ამარაგებს (მათ შორის თბილისსა და რუსთავს).

მუნიციპალიტეტში განვითარებულია მეფრინველეობის მცირე და მსხვილი წარმადობის წარმოებები: მოქმედებს 8 მსხვილი საწარმო, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით უწყვენ რეალიზაციას კვერცხსა და ქათმის ხორცს; 4 კომბინირებული საკვებ-წარმოების საწარმო; 6

სამაცივრე მეურნეობა (სუფრის ყურძნის, ხილის და ბოსტნეულისათვის) და 5 დიდი მოცულობის მარცვლეულის შემნახველი.

კარგადაა განვითარებული მეფუტკრეობა. სკები ძირითადად განთავსებულია გარდაბნის ნაკრძალში და მის მიმდებარედ. მათი რაოდენობა შეადგენს 2035-ს. (მზარდია)

მრავალწლიანი ხეხილის ბაღი გაშენდა დაახლოებით 1000 ჰა-ზე. (კაკლოვანი, თესლოვან-კურკოვანი, ზეთის ხილი)

საქართველოში პირველად, სოფელ ლემშვენიერაში 216 კვტ. სიმძლავრის მოტივტივე მზის ელექტროსადგური გაიხსნა, რომელიც მიზნად ისახავს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას, რათა მათ შეძლონ განახლებადი ენერგორესურსებით წვეთოვანი სარწყავი სისტემის მომარაგება და ირგვლივ არსებულ სახნავ-სავარგულთა უწყვეტი მორწყვა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის საშუალო წილმა შეადგინა 555,4 მლნ. ლარი, გასულ წელთან შედარებით მონაცემი 27%-ით გაიზარდა და რეგიონში გამოშვებული პროდუქციის 24%-ს მიაღწია. შესაბამისად გარდაბნის მუნიციპალიტეტს საგულისხმო წვლილი შეაქვს რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში და მისი მნიშვნელობა იზრდება.

მუნიციპალიტეტის შემოსავლებს უზრუნველყოფს: მრეწველობა (ელექტოენერჯის წარმოება — 26%, გადამამუშავებელი მრეწველობა — 6,4%), მშენებლობა, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, მცირე მეწარმეობა და საჯარო სამსახურები. გარდაბანში ძირითადი დამსაქმებელია თბოსადგური და ფერადი ლითონების და წებო-ცემენტის საწარმოები.

### **1.2.7. ტურიზმი და მომსახურების სფერო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მონაცემების თანახმად გარდაბანში წლის განმავლობაში შემოსული ტურისტების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 2500-3000 ადამიანია, აქედან შესაძლებელია მნიშვნელოვანი წილი იყოს - საქმიანი ვიზიტით მეზობელი ქვეყნებიდან შემოსული ტურისტი.

ბაზარზე გარდაბანის ტურისტული პოტენციალი ნაკლებად პოზიციონირებულია, თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი პოტენციალი მუნიციპალიტეტში, რაც გამოიხატება, 67 ისტორიული ძეგლის, 67 ისტორიული ტაძრის, 7 ისტორიული ადგილის, 4 სარეკრეაციო დაწესებულების არსებობით. გარდაბანისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საზღვარზე მდებარეობს გარდაბნის ალკვეთილი. გარდაბნის ალკვეთილთან ახლოს მდებარე ისტორიულ ძეგლთა შორის აღსანიშნავია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი.

### **1.2.8. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა**

საგზაო, სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა გარდაბნის მუნიციპალიტეტში დამაკმაყოფილებელია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და შიდა მუნიციპალური გზები.

#### **სახელმწიფო მნიშვნელობის გზები:**

- თბილისი-მარნეული-სადახლო;

- თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი;
- თბილისის შემოვლითი გზა.

#### საკანალიზაციო სისტემა:

- ქ. გარდაბანში - ერთი სატუმბი სადგური 60-70 ტონიანი რეზერვუარით;
- სოფ. ლელაშხაში - ერთი სატუმბი სადგური;
- სოფ. კრწანისში - ერთი სატუმბი სადგური.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აშენებულია თბილისი-რუსთავის რეგიონალური წყალგამწმენდი ნაგებობა, რომელიც ემსახურება ქალაქ თბილისის, რუსთავის და გარდაბნის მუნიციპალიტეტების საკანალიზაციო სისტემებიდან შემოსული ნახმარი წყლების გაწმენდას. გაწმენდის შემდეგ წყლები ჩაედინება მდინარე მტკვარში.

#### 1.2.9. გარემო

გარდაბანის მუნიციპალიტეტის საზღვართან ჩამოედინება მდ. მტკვარი, ხოლო ტერიტორიის შიდა ნაწილში ძირითადად პერიოდული ხასიათის მდინარეები გვხვდება. ესენია: ლოჭინი, არხაშენი, ნაგუბი, ხევძმარი, ორხევი, ნავთისხევი და სხვა. ასევე ტბები - ჯანდარა და კუმისი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში გავრცელებულ ბუნებრივ საფრთხეებს მიეკუთვნება: წყალდიდობა, მეწყრული ზონა კუმისში, გვალვა, სეტყვა, ძლიერი ქარები. განსაკუთრებით დიდ პრობლემად სახელდება გვალვა რაც გაუდაბურების პროცესს აჩქარებს.

მუნიციპალიტეტის ტყის რესურსი მწირია. ტერიტორიის მხოლოდ 15% უკავია ტყესა და ბუჩქნარს. ტყეები შემორჩენილია ლილოსა და საცხენისის მიდამოებში, მდინარე საცხენისის გაყოლებით სოფელ ახალსოფლამდე.

### 2. ნარჩენების მართვის სისტემა: განვითარება და გამოწვევები

#### 2.1. ნარჩენების მართვის სტრატეგიული დაგეგმვის განვითარება

ნარჩენების მართვის კოდექსის მიღებამდე საქართველოში არ იყო ჩამოყალიბებული ნარჩენების მართვის დაგეგმვის სისტემა და არც სამართლებრივი ვალდებულება არსებობდა. მუნიციპალიტეტებს და კომპანიებს არ გააჩნდათ ნარჩენების მართვის გეგმები.

ნარჩენების მართვის კოდექსი ითვალისწინებს ქვეყანაში ნარჩენების მართვის დაგეგმვის კომპლექსური სისტემის ჩამოყალიბებას. კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვალდებულებას, შეიმუშაოს 15 წლიანი ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია, ხოლო ყოველ 5 წელიწადში ერთხელ 5 წლიანი ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა. გარდა ამისა, კოდექსი ადგენს მუნიციპალიტეტების ვალდებულებას, შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები.

ნარჩენების მართვის კოდექსის საფუძველზე 2016 წელს მიღებული იქნა ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგია (2016-2030) და ნარჩენების მართვის პირველი ხუთწლიანი ეროვნული სამოქმედო გეგმა (2016-2020). გარდაბნის მუნიციპალიტეტსაც აქვს შემუშავებული მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი 2017-2021 სამოქმედო გეგმა.

ნარჩენების მართვის მეორე ეროვნულ სამოქმედო გეგმას (2025-2030), პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმისგან განსხვავებით დაემატა სახიფათო, პლასტიკის, ბიოდეგრადირებადი და ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მართვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, რაც გათვალისწინებული იქნება გარდაბნის მუნიციპალიტეტის გეგმით (2025-2030) განსახორციელებელ ღონისძიებებში.

## 2.2. ნარჩენების მართვის დაგეგმვის სფეროში არსებული გამოწვევები

ნარჩენების მართვის დაგეგმვის სფეროში არსებული გამოწვევებია:

- მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის გაუმჯობესების საჭიროება.
- მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების განახლების საჭიროება ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის და ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად.
- კომპანიების ნარჩენების მართვის გეგმების ხარისხობრივი გაუმჯობესების საჭიროება.

## 2.3. ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და მართვა

### 2.3.1. მუნიციპალური ნარჩენები

ამ ეტაპზე, საქართველოში არსებული მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების, რეციკლირებისა და განთავსების სისტემები მოითხოვს მნიშვნელოვან რეფორმებს და საერთაშორისო მოთხოვნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. გამოთვლების მიხედვით, ნარჩენების წარმოქმნის ინდექსმა 2024 წელს შეადგინა საშუალოდ 0,95 კგ/მ/დღეში ქალაქებისთვის და 0,54 კგ/მ/დღეში სასოფლო დასახლებებისათვის.

გარდაბნის მუნიციპალური ნარჩენების საერთო რაოდენობამ შეადგინა **60 000 ტონა**; აქედან **20 000** წარმოიქმნა ქალაქში, ხოლო **40 000 ტონა** სოფლად.

მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობაში შედის ორგანული ნარჩენები (54.7%), პლასტიკის ნარჩენები (13.8%), ქალაღი და მუყაო (10.6%), ტექსტილი (4.1%), მშენებლობისა და ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენი (2.5%), მინა (2.3%), მეტალი (1.4%) და სხვა. რეგიონალური მონაცემების მიხედვით, ორგანული და რეციკლირების პოტენციალის მქონე ნარჩენები დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ნარჩენების შემადგენლობაში, რაც საფუძველს წარმოადგენს რეციკლირებისა და აღდგენის იმ პროცესების სქემის შესამუშავებლად, რომელიც უნდა დაინერგოს გეგმის ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის, ტურიზმის განვითარების პროგნოზსა და სპეციფიკური ნარჩენების მოსალოდნელ რაოდენობაზე დაყრდნობით, შეგროვების პროგნოზი 2030 წლამდე პერიოდისათვის ყოველწლიურად 0.6%-1,2%-ით გაიზრდება.

ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, მუნიციპალური, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაა.

დღეისათვის საქართველოში არ არსებობს მუნიციპალური ნარჩენების წყაროსთან სეპარირების ჩამოყალიბებული სისტემები. მუნიციპალური ნარჩენების მართვის არსებული სისტემა მოიცავს ნარჩენების შეგროვებას და ნაგავსაყრელზე განთავსებას.

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების და მოსახლეობისათვის მომსახურების მიწოდების დაფარვის საერთო მაჩვენებელი არსებული მონაცემებით შეადგენს 100% ქალაქებში და 90% სოფლის დასახლებებში.

მუნიციპალური ნარჩენების შესაგროვებლად ძირითადად გამოიყენება ლითონის ან პლასტიკის – 1,100 ლ. მოცულობის კონტეინერები და ურნები. ამჟამად გარდაბანში 1500 ლოკაციაზე განთავსებულია 1637 ურნა. მუნიციპალიტეტის დასახლებულ უბნებში ურნები განთავსებულია ფაქტიურად ყოველ 200-250 მეტრში, ცალკეულ დასახლებებში კონტეინერები საერთოდ არ არის, ზოგიერთ ლოკაციაზე კი საჭიროა მათი დამატება. სრული დაფარვისათვის საჭიროა 2000 ლოკაციაზე კონტეინერის განთავსება, რისთვისაც მუნიციპალიტეტი გეგმავს 500 კონტეინერის დამატებით შეძენას. ნარჩენების შეგროვება ქალაქებში დღეში ერთხელ ან ორჯერ, ხოლო სოფლად კვირაში ორჯერ ან სამჯერ ხდება; ტურისტულ ზონებში გატანა ხორციელდება უფრო ხშირად, სეზონურობის გათვალისწინებით. ნარჩენების გატანას ემსახურება 7 (შვიდი) სპეციალური ნაგავმზიდი - საპრესი ტიპის.

ნარჩენების შეგროვების მომსახურებას ახორციელებს ააიპ "სუფთა ქალაქი" .

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებასა და ნაგავსაყრელზე ტრანსპორტირებაზე და ქუჩების დასუფთავებაზე ადმინისტრაციულ საზღვრებში პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი. ნარჩენების შეგროვების არსებული სიტუაციის ანალიზით გამოიკვეთა, რომ ამჟამად მუნიციპალიტეტში არსებული აღჭურვილობის ნაწილი (ნაგავმზიდი მანქანები, კონტეინერები და ურნები) დაზიანებულია.

### **2.3.2. სახიფათო ნარჩენები**

ქვეყანაში და მათ შორის მუნიციპალიტეტში არ ხდება მუნიციპალური სახიფათო ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და აღნიშნული ნარჩენები სხვა მუნიციპალურ ნარჩენებთან ერთად ხვდება არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე, რაც საფრთხეს უქმნის გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას.

სახიფათო ნარჩენების შეგროვება ინდუსტრიული და კომერციული ობიექტებიდან ორგანიზებულია და ხორციელდება უფლებამოსილი კერძო კომპანიების მიერ. ნარჩენების ტრანსპორტირება ხორციელდება დამუშავების ან დროებითი განთავსების ობიექტებზე.

სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით (შეგროვება, ტრანსპორტირება, დროებითი დასაწყობება) საქმიანობის რეგისტრაცია მიღებული აქვს 50 კომპანიას, ხოლო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ნარჩენების დამუშავების საქმიანობაზე მიღებული აქვს 45 კომპანიას.

### **2.3.3. სამედიცინო ნარჩენები**

სამედიცინო ნარჩენების მართვის პასუხისმგებლობა საკუთარ ტერიტორიაზე ეკისრებათ სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებიც ხელშეკრულებას აფორმებენ სამედიცინო ნარჩენების

მართვის ოპერატორებთან; რეგულირება და კონტროლი ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა სამედიცინო ნარჩენების გარკვეული ნაწილი, შესაძლებელია, ყოველგვარი წინასწარი დამუშავების გარეშე კვლავ ხვდებოდეს ნაგავსაყრელებზე.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში მდებარეობს ინსენერატორი სამედიცინო ნარჩენების გასაუვნებლად.

#### **2.3.4. ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები**

ინერტული ნარჩენების გადამამუშავებელი ინდუსტრიის მცირე მასშტაბი და ბიზნესის ნაკლები ინტერესი განაპირობებს სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების ხშირ შემთხვევაში უკონტროლო განთავსებას. ნარჩენების ნაწილი გამოიყენება მუნიციპალიტეტის მიერ ამოვსებითი ღონისძიებებისთვის. შესაბამისად კვლავ გამოწვევას წარმოადგენს მუნიციპალიტეტში ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სისტემის შექმნა.

#### **2.3.5. ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სფეროში არსებული გამოწვევები**

ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სფეროში არსებული გამოწვევებია:

- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების მომსახურებით მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის დაფარვის საჭიროება;
- ნარჩენების შეგროვების და ტრანსპორტირების საშუალებების განახლების საჭიროება;
- მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების საჭიროება;
- საჯარო - კერძო პარტნიორობის პოლიტიკის ჩამოყალიბების საჭიროება.

### **2.4. ნაგავსაყრელები**

#### **2.4.1. არსებული ნაგავსაყრელების მდგომარეობა**

საქართველოში აღრიცხულია 61 ნაგავსაყრელი. საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ დაიხურა 24 ნაგავსაყრელი მაღალი გარემოსდაცვითი რისკების გამო, ხოლო 30 ნაგავსაყრელზე განხორციელდა შესაბამისობაში მოყვანის ღონისძიებები და გარდამავალ პერიოდში აგრძელებენ ფუნქციონირებას.

მიმდინარეობს მუშაობა 6 რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების და შესაბამისი გადამტვირთი სადგურების მოსაწყობად. ჩატარებულია ან მიმდინარეობს რეგიონების მიხედვით ტექნიკურ ეკონომიკური კვლევები.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში არ არსებობს სპეციალიზებული ნაგავსაყრელი სამშენებლო და ნგრევის ნარჩენებისთვის. ამ ტიპის ნარჩენების განთავსება უმეტესწილად ამოვსებითი სამუშაოებისთვის გამოიყენება.

არ არსებობს სახიფათო ნარჩენების მოქმედი ნაგავსაყრელი, რაც მნიშვნელოვანია ისეთი ნარჩენების განთავსებისათვის, როგორცაა წიდეები, ნაცრები და სხვა მსგავსი ნარჩენები.

### 2.4.2. სტიქიური ნაგავსაყრელები

ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს ე.წ. სტიქიური ნაგავსაყრელები, რომლებიც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. მუნიციპალიტეტები სისტემატურად ახდენენ მსგავსი ნაგავსაყრელების გამოვლენას და დახურვა-გაწმენდას. გარდაბნის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე დახურულია ყველა ე.წ. სტიქიური ნაგავსაყრელი, რომელთა საერთო ფართობი დაახლოებით 10 ჰა.

|   |   |  |
|---|---|--|
| უკანონო ნაგავსაყრელის არსებობა  | დიახ  |  |
| უკანონო ნაგავსაყრელების რაოდენობა   | 12  |  |
| უკანონო ნაგავსაყრელების ფართობი ნაგავსაყრელების მიხედვით, მ <sup>2</sup> ან ჰექტარი   | • 100000 მ <sup>2</sup> --10ჰა  |  |
| უკანონო ნაგავსაყრელების აღწერა, ტერიტორიის ტიპი (საცხოვრებელი, კომერციული, ტყეების მახლობლად არსებული, წყლების მახლობლად არსებული, ა.შ.). | • ტყის მახლობლად<br>• საცხოვრებელი უბნის მიმდებარედ მინდვრებში<br>• წყალსატევებთან<br>• გზისპირებზე<br>• საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ |  |
| წლიურად დახურული/გაწმენდილი უკანონო ნაგავსაყრელების რაოდენობა   | 2-3 ნაგავსაყრელი სოფლის სხვადასხვა უბნებში 1000მ <sup>2</sup>   |  |

### 2.4.3. ნაგავსაყრელების მართვის სფეროში არსებული გამოწვევები

ნაგავსაყრელების მართვის სფეროში არსებული ძირითადი გამოწვევებია:

- არასახიფათო ნარჩენების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი ნაგავსაყრელების მოწყობის და არსებული უნებართვო ნაგავსაყრელების დახურვის საჭიროება.
- სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვის საჭიროება.
- სახიფათო და ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობის საჭიროება.

### 2.5. პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება და აღდგენა, არსებული მდგომარეობა და გამოწვევები

საქართველოში ნაკლებად არის განვითარებული ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირებისა და აღდგენის პრაქტიკა.

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და გადამუშავება ძირითადად ეხება შემდეგ მიმართულებებს:

- **ქალაქი** – ქალაქისა და მუყაოს გადამუშავება საქართველოში ყველაზე გავრცელებულია, რაც განპირობებულია საერთაშორისო ბაზარზე გადამუშავებული ქალაქის მაღალი ფასით. შეგროვებული ნარჩენის დიდი ნაწილი ექსპორტზე გადის, ხოლო ადგილობრივი წარმოება ძირითადად ორიენტირებულია შესაფუთ მუყაოსა და ჰიგიენურ ქალაქდზე.
- **პლასტიკი** – საქართველოში პლასტმასის ნარჩენების დამუშავებას 25 კომპანია ახორციელებს. მათი ჯამური საპროექტო სიმძლავრე წელიწადში დაახლოებით 184 000 ტონას შეადგენს.
- **მეტალი** – მეტალის ნარჩენები მაღალი საბაზრო ღირებულების გამო მცირე რაოდენობით ხვდება ნაგავსაყრელზე. შავი და ფერადი ლითონის შეგროვებასა და დამუშავებას საქართველოში რამდენიმე კომპანია ახორციელებს.
- **მინა** – საქართველოში ყოველწლიურად ხორციელდება დაახლოებით 1000 ტ. მინის ნარჩენის შეგროვება და დამუშავება.

რაც შეეხება სახიფათო ნარჩენებს, სამედიცინო ნარჩენის დამუშავება ძირითადად ხორციელდება ინსინერაციის გზით ენერჯის აღდგენის გარეშე; ხოლო ზოგიერთი ინდუსტრიული ნარჩენის (ზეთები, აკუმულატორები, ელექტრონული ნარჩენები) დამუშავება ხორციელდება აღდგენის გზით.

**პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირებისა და აღდგენის სფეროში არსებული გამოწვევებია:**

- ნარჩენების პრევენციის მექანიზმების გაძლიერების საჭიროება;
- ნარჩენების სეპარირების სისტემის გაუმჯობესების საჭიროება;
- ნარჩენების აღდგენის ობიექტების რაოდენობის გაზრდის საჭიროება;
- წამახალისებელი მექანიზმების შემოღების საჭიროება.

## 2.6. ხარჯების ამოღება და არსებული ფინანსური გამოწვევები

ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი არის ნარჩენების წარმომქმნელი, რომელიც ვალდებულია „დამბინძურებელი იხდის პრინციპი“-ს შესაბამისად საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები შეგროვებისა და დამუშავებისათვის გადასცეს შესაბამისი რეგისტრაციის ან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე კომპანიას. შესაბამისად, სახიფათო ნარჩენების შეგროვება ინდუსტრიული და კომერციული ობიექტებიდან ორგანიზებულია და ხორციელდება უფლებამოსილი კერძო კომპანიების მიერ.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაფინანსებაზე პასუხისმგებლობა მუნიციპალიტეტებს ეკისრებათ. გარდაბნის მუნიციპალიტეტში ფიზიკური პირებისთვის დასუფთავების მოსაკრებელი დადგენილი არ არის, ხოლო იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეებისთვის მოქმედებს ტარიფები, რომლებიც მერყეობს 0,01-დან 0,5 ლარამდე (საგაასახადო ერთეულის მიხედვით - 1 მ<sup>2</sup> ფართი, ერთი საწოლი, ერთი სავარძელი და სხვ.). მიუხედავად ტარიფების არსებობისა, როგორც მათი ოდენობა, ისე ამოღების მაჩვენებლები დაბალია.

დამატებით, არ არის დადგენილი ნაგავსაყრელებზე ნარჩენების განთავსების ტარიფი („ჭიშკრის გადასახადი“), რაც სისტემის ერთ-ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენს. ამ ვითარებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს ნარჩენების მართვის ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფარვა ბიუჯეტიდან სუბსიდირების გზით უწევს, რაც ზრდის ფისკალურ დატვირთვას და ამცირებს სისტემის ფინანსურ მდგრადობას.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტიანობისა და სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სატარიფო პოლიტიკის შემუშავება. აღნიშნული პოლიტიკა უნდა მოიცავდეს მოქმედი ტარიფების გადახედვასა და ღირებულებების დადგენას, ასევე, ფიზიკური პირებისთვის მოსაკრებლის ეტაპობრივ დაწესებას. ფინანსური მდგრადობის გასამდიდრებლად კრიტიკულად მნიშვნელოვანია ამოღების მაჩვენებლების გაუმჯობესება, რაც მიიღწევა გადასახადების ადმინისტრირების გაძლიერებით, შესაბამისი კონტროლის მექანიზმების დანერგვითა და მათი თანმიმდევრული, ეტაპობრივი განხორციელებით.

**ხარჯების ამოღების სფეროში არსებული გამოწვევებია:**

- ადეკვატური სატარიფო პოლიტიკის შემუშავების საჭიროება
- ხარჯების ამოღების ეფექტიანი მექანიზმის დანერგვის საჭიროება

## **2.7. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (მგვ)**

ნარჩენების მართვის კოდექსი ითვალისწინებს მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას სპეციფიკურ ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით. კერძოდ, ისეთი პროდუქტის მწარმოებელი, რომელიც შემდგომ სპეციფიკური ნარჩენი ხდება და ამ პროდუქტის ბაზარზე განმთავსებელი, ვალდებული არიან უზრუნველყონ პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ტრანსპორტირება, აღდგენა, მათ შორის რეციკლირება და გარემოსთვის უსაფრთხო განთავსება.

სპეციფიკური ნარჩენების ნაკადები (ბატარეები, აკუმულატორები, ელექტრო და ელექტრონული ნარჩენები, ნარჩენი ზეთები, საბურავები, შეფუთვის ნარჩენები და ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები) მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ ეროვნულ დონეზეც.

არსებული კვლევების მიხედვით, საქართველოში ყოველწლიურად წარმოიქმნება დაახლოებით 29 000 ტონა ელექტრონული ნარჩენი, 200 000 ტონა შეფუთვის ნარჩენი, 20 000 ტონა ნარჩენი ზეთი, 6 000 ტონა აკუმულატორი, ხოლო საბურავების ნარჩენების რაოდენობა ათასობით ტონას შეადგენს. აღნიშნული ნაკადების უმეტესი ნაწილი არ ექვემდებარება სათანადო გადამუშავებას და მნიშვნელოვანი რაოდენობით განთავსდება ნაგავსაყრელებზე ან სხვა უკონტროლო პირობებში, რაც ზრდის გარემოსდაცვით, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებს.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში ამ კონკრეტული ნაკადების რაოდენობრივი აღრიცხვა არ ხდება, ხოლო მათი მართვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და მექანიზმები არ არის ჩამოყალიბებული. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ეყრდნობა მხოლოდ ზოგად ეროვნულ მონაცემებს.

**მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სფეროში არსებული გამოწვევებია:**

- დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობის გაძლიერების აუცილებლობა
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების საჭიროება
- საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების საჭიროება
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) ეფექტური შესაბამისობის სქემების დანერგვის საჭიროება.

## 2.8. მონაცემები ნარჩენების შესახებ

ქვეყანაში არ არსებობს წარმოქმნილი, შეგროვებული, ტრანსპორტირებული და დამუშავებული ნარჩენების შესახებ სრული ინფორმაცია, მონაცემთა შეგროვების ეფექტური სისტემა და, შესაბამისად, სრულყოფილი ეროვნული (მით უფრო მუნიციპალური) მონაცემთა ბაზა. ჩამოყალიბების პროცესშია სპეციფიკური ნარჩენების წარმოქმნისა და დამუშავების შესახებ სისტემური ანგარიშგების მექანიზმი.

**ნარჩენების შესახებ მონაცემების სფეროში არსებული გამოწვევებია:**

- ნარჩენების მონაცემთა ბაზის გაუმჯობესების საჭიროება
- შეგროვებული, დამუშავებული, ტრანსპორტირებული და განთავსებული ნარჩენების თაობაზე რეგულარული ანგარიშგების გაუმჯობესების საჭიროება
- მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, ანგარიშგების და მონაცემთა ბაზის მართვის შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროება.

## 2.9. მართვის შესაძლებლობები

ნარჩენების მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად საჭიროა საჯარო და კერძო სექტორის შესაძლებლობების გაძლიერება.

ნარჩენების მართვის სფეროში ძირითადი დაინტერესებული მხარეების კომპეტენციები განსაზღვრულია ნარჩენების მართვის კოდექსით:

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არის სახელმწიფო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ნარჩენების მართვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით პასუხისმგებელია ჯანდაცვის სფეროში წარმოქმნილი ნარჩენების მართვასა და კონტროლზე;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, განსაზღვრავს ნარჩენების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს;

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, არეგულირებს ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებს;
- შპს – საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია პასუხისმგებელია არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობაზე, მართვასა და დახურვაზე, ნარჩენების გადამტვირთი სადგურების მოწყობასა და მართვაზე, გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქ. თბილისში არსებული ნაგავსაყრელებისა;
- მუნიციპალიტეტები პასუხისმგებელი არიან: ა) მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებასა და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის დანერგვასა და გამართულ ფუნქციონირებაზე; ბ) მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივ დანერგვასა და გამართულ ფუნქციონირებაზე;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიებზე არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, ოპერირება და დახურვა განეკუთვნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების კომპეტენციას.

კოდექსის განსახორციელებლად და საერთაშორისო შეთანხმებების მოთხოვნების შესასრულებლად, საჭიროა ნარჩენების მართვის სისტემაში ჩართული ყველა პირის, მათ შორის კერძო სექტორის შესაძლებლობათა გაძლიერება და მჭიდრო თანამშრომლობა.

მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ვინაიდან დღეისთვის ნარჩენების მართვის სფეროში საზოგადოების ცნობიერება საგრძნობლად დაბალია.

**ნარჩენების მართვის შესაძლებლობების სფეროში არსებული გამოწვევები:**

- შესაბამისი სამინისტროების შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროება
- მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროება
- საზოგადოებისა და ცალკეული მიზნობრივი ჯგუფების ცნობიერების ამაღლების საჭიროება.

## **2.10. სახიფათო ნარჩენების მართვა**

საქართველოში ბოლო ათწლეულების განმავლობაში შეიმჩნევა სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის მზარდი ტენდენცია. სახიფათო ნარჩენების მართვა დაკავშირებულია მაღალ გარემოსდაცვით და ჯანმრთელობის რისკებთან. შესაბამისად, საჭიროა სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების თანამედროვე მიდგომებისა და ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა და მართვის თანამედროვე სისტემების შექმნა. ამ მიზნით მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება.

სახიფათო ნარჩენების დამუშავება ძირითადად ხორციელდება ინსინერაციის გზით ენერჯის აღდგენის გარეშე, ხოლო ზოგიერთი ინდუსტრიული ნარჩენის (ზეთები, აკუმულატორები, ელექტრონული ნარჩენები და სხვა) დამუშავება ხორციელდება აღდგენის გზით.

უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს სახიფათო ნარჩენების მოქმედი ნაგავსაყრელი ისეთი ნარჩენების განთავსებისათვის, როგორცაა წიდეები, ნაცრები და სხვა სახიფათო ნარჩენები.

**სახიფათო ნარჩენების მართვის სფეროში არსებული გამოწვევებია:**

- ისტორიული სახიფათო ნარჩენების სამარხების მოწყობის საჭიროება
- სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მოწყობის საჭიროება
- სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროება.

### **2.11. პლასტიკის ნარჩენების მართვა**

პლასტიკის ნარჩენებით დაბინძურება დღესდღეობით ერთ-ერთ ყველაზე გლობალურ გარემოსდაცვით გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული პრობლემის დასაძლევად საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების გატარება, მათ შორის – პრევენციული პროგრამების შემუშავება და განხორციელება, პლასტიკის ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, თანამედროვე რეციკლირების ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და სხვა.

**პლასტიკის ნარჩენების მართვის სფეროში არსებული გამოწვევებია:**

- პლასტიკის ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და დამუშავების სისტემების დანერგვის საჭიროება
- პლასტიკის ნარჩენების პრევენციის ღონისძიებების განხორციელების საჭიროება
- პლასტიკის ნარჩენების მართვაში ჩართული დაინტერესებული მხარეებისთვის შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროება.

### **2.12. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვა**

საქართველოში არ არსებობს ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების ორგანიზებული სისტემა. ისინი განთავსდებიან ნაგავსაყრელებზე და მუნიციპალური ნარჩენების ნახევარზე მეტს შეადგენენ. ბიოდეგრადირებად ნარჩენებს მიეკუთვნება სამზარეულოს, ბაღებისა და პარკების, ქაღალდის და სხვა მსგავსი ნარჩენები, რომლებიც ნაგავსაყრელებიდან აირების ემისიების და ნაჟური წყლების წყაროს წარმოადგენს.

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ქვეყანას აქვს აღებული ვალდებულება მოამზადოს და განახორციელოს ნაგავსაყრელზე განთავსებული ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებები, შეიმუშაოს საკანონმდებლო ინიციატივები და სხვა პრაქტიკული ხასიათის პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყანაში ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფას.

**ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის სფეროში არსებული გამოწვევებია:**

- ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების შექმნის და დანერგვის საჭიროება;
- ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შეგროვების, კომპოსტირების და ენერჯის აღდგენის ტექნოლოგიების დანერგვის საჭიროება;
- ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროება.

### **2.13. ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მართვა**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ისევე, როგორც მთლიანად საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს მშენებლობის პროცესი და შესაბამისად ყოველწლიურად იზრდება ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მოცულობა.

ქვეყანაში არ არის დანერგილი ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების რეციკლირების პრაქტიკა. ნარჩენების ნაწილი გამოიყენება მუნიციპალიტეტის მიერ ამოვსებითი ღონისძიებებისთვის, გარკვეული ნაწილი მუნიციპალურ ნარჩენებთან შერეული სახით განთავსდება მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელებზე, რადგან არ არსებობს ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელები.

ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების გადამუშავება და ხელმეორედ გამოყენება მნიშვნელოვანია როგორც გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების, ასევე ეკონომიკური სარგებლის მიღების თვალსაზრისით.

**ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მართვის სფეროში არსებული გამოწვევებია:**

- ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების თანამედროვე სისტემების დანერგვის საჭიროება;
- სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების უკონტროლო განთავსების აღკვეთის საჭიროება;
- ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების გადამამუშავებელი სექტორის შესაძლებლობის გაძლიერების საჭიროება.

## **3. ნარჩენების მართვის სტრატეგიული მიმართულებები**

### **3.1. ნარჩენების იერარქია და მართვის პრინციპები**

ნარჩენების მართვის სტრატეგია სრულად შეესაბამება როგორც საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსით, ასევე ევროკავშირის ნარჩენების მართვის ჩარჩო-დირექტივით (2008/98/EC) და გარემოს დაცვის მე-6 სამოქმედო პროგრამით განსაზღვრულ პრინციპებსა და იერარქიას. იგი ეფუძნება ისეთ ძირეულ მიდგომებს, როგორცაა პრევენცია, რესურსების რაციონალური გამოყენება, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების დანერგვა და მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობა.

სტრატეგიაში გათვალისწინებულია ისეთი გარემოსდაცვითი პრინციპებიც, როგორცაა „დამბინძურებელი იხდის“, „უსაფრთხოების წინასწარი ზომები“, „სიახლოვისა“ და „თვითუზრუნველყოფის“ პრინციპები. მისი მიზანია არა მხოლოდ ნარჩენების გენერაციის

შემცირება და რეციკლირებადი მასალების მაქსიმალური დაბრუნება ეკონომიკაში, არამედ საზოგადოებრივი ჩართულობის, გამჭვირვალობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, რაც თანხვედრაშია ორპუსის კონვენციისა და გაეროს მწვანე ეკონომიკის პრინციპებთან.

სტრატეგია ასევე ასახავს ნარჩენების ინტეგრირებული მართვის საჭიროებას, რაც გულისხმობს სხვადასხვა მეთოდის ოპტიმალურ კომბინირებას, ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტიანობის მიღწევის მიზნით.

### **3.2. ხელვა, მიზნები და ამოცანები**

